საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

მდგრადი დაფინანსება საქართველოში

ანგარიში
2023

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

მდგრადი დაფინანსება საქართველოში

ანგარიში

2023

© ფოტო – სამცხე-ჯავახეთი, საქართველო. ფოტოს ავტორი - Shermazana. ყველა უფლება დაცულია.

შინაარსი

I. საქართველოში მდგრადი დაფინანსების რეგულაციებისა და პოლიტიკის მიმოხილვა **4**

საქართველოს ეროვნული ბანკის მდგრადი დაფინანსების ჩარჩო - მოკლე მიმოხილვა **4**

2022-2023 წლებში გატარებული ღონისძიებებისა და რეგულაციების მიმოხილვა **6**

II. საქართველოს მდგრადი დაფინანსების ბაზრის მიმოხილვა **10**

ESG საკითხების ჭრილში კომერციული ბანკების მდგომარეობა - ESG ანგარიშგების შედეგები **11**

E - გარემოსდაცვითი **11**

S - სოციალური **15**

G – მმართველობითი **16**

მდგრადი დაფინანსების კუთხით ობლიგაციების ბაზრის მიმოხილვა **17**

ჩანართი. მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია და მისი დანერგვა **14**

I. საქართველოში მდგრადი დაფინანსების რეგულაციებისა და პოლიტიკის მიმოხილვა

საქართველოს ეროვნული ბანკის მდგრადი დაფინანსების ჩარჩო - მოკლე მიმოხილვა

ჩვენს წინაშე არსებული მდგრადი განვითარების გამოწვევები დაუყოვნებლივ რეაგირებას საჭიროებს, რათა საჯარო პოლიტიკა ახალ რეალობას მოერგოს. ყოველივე ეს ისეთი რეფორმების გატარებას მოითხოვს, რომლებიც ფინანსური რესურსების მწვანე, სტაბილური და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის მობილიზებას შეუწყობს ხელს. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ფინანსურ სისტემას აკისრია, რადგან მდგრადი განვითარება არ არსებობს მდგრადი დაფინანსების გარეშე - იქნება ეს საჯარო თუ კერძო. თუმცა, კერძო კაპიტალის უფრო მდგრადი ინვესტიციებისკენ მიმართვა ფინანსური სისტემის სამუშაო ფორმატის ცვლილებას საჭიროებს. ეს აუცილებელი პირობაა უფრო მდგრადი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ეკონომიკაში გამჭვირვალობისა და გრძელვადიანი ხედვის ხელშესაწყობად.

ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია ცენტრალური ბანკების პოლიტიკაში გარემოსდაცვითი, სოციალური და სხვა მდგრადი განვითარების საკითხების გათვალისწინება. საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკი, ქვეყნის მდგრად განვითარებაში ფინანსური სექტორის როლის გაძლიერებას უწყობს ხელს და ამ მიზნით მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს ავითარებს. ეს ჩარჩო ფინანსური სექტორის მონაწილეების მიერ ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების გათვალისწინებას, ESG საკითხებთან დაკავშირებული რისკების მართვასა და ფინანსური ნაკადების ისეთი პროექტებისკენ მიმართვას გულისხმობს, რომლებსაც დადებითი გარემოსდაცვითი ან/და სოციალური ეფექტი გააჩნიათ. ყოველივე ეს გრძელვადიან ეკონომიკურ მდგრადობასა და ფინანსურ სტაბილურობას უწყობს ხელს.

2019 წელს ეროვნულმა ბანკმა მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი გამოაქვეყნა, რომელიც ამ მიმართულებით პოლიტიკის მთავარ დოკუმენტს წარმოადგენს. გზამკვლევის მთავარი მიზანია შექმნას სანდო, პროგნოზირებადი და სტაბილური რეგულატორული ჩარჩო, რომელიც ბაზარს მდგრად დაფინანსებაზე გადასვლისთვის მოამზადებს.

მდგრადი დაფინანსების გზამკვლევის ძირითადი მიმართულებები:

გზამკვლევი ოთხ ძირითად მიმართულებას განსაზღვრავს, რომელთა ქვეშ წარმოდგენილი ღონისძიებები სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ სხვადასხვა მიზანს ემსახურება.

გზამკვლევის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი აქტივობების უმრავლესობა უკვე განხორციელდა ან შემუშავების პროცესშია. დიაგრამა 1 ეროვნული ბანკის მიერ ამ მიმართულებით ბოლო წლებში გადადგმულ მთავარ ნაბიჯებს აჯამებს. ეროვნული ბანკი აგრძელებს მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარებას და 2024 წელს ახალი გზამკვლევის გამოქვეყნებას გეგმავს, რომელიც უახლოეს წლებში დაგეგმილ აქტივობებს განსაზღვრავს.

დიაგრამა 1. ეროვნული ბანკის მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს დანერგვა



წყარო: ეროვნული ბანკი

მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარება და სამოქმედო გეგმის განხორციელება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობითა და მხარდაჭერით მიმდინარეობს. მათ შორისაა საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), IFC-თან არსებული მდგრადი საბანკო და საფინანსო ქსელი (SBFN), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), Finance in Motion, მწვანე ზრდის ფონდის (GGF) ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა, German Sparkassenstiftung for International Cooperation (DSIK), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB). მდგრადი დაფინანსების სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და სხვა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის სხვადასხვა სამინისტროსთან, კოორდინაცია სამუშაო პროცესის ნაწილს წარმოადგენს. ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი 2017 წლიდან მდგრადი საბანკო და საფინანსო ქსელის (SBFN), ხოლო 2020 წლიდან კი ცენტრალური ბანკებისა და ზედამხედველთა ქსელის ფინანსური სისტემის "გამწვანებისთვის" (Network for Greening the Financial System, NGFS) წევრია. ამჟამად, ეროვნულ ბანკს NGFS-ში პლენარული წარმომადგენილი ჰყავს და ასევე, სცენარების დიზაინისა და ანალიზის სამუშაო ჯგუფის წევრია. გარდა ამისა, ეროვნული ბანკი SBFN-ის შეფასების სამუშაო ჯგუფის წევრი და მონაცემთა და გამჟღავნების სამუშაო ჯგუფის ორი თანახელმძღვანელიდან ერთ-ერთია. ამ წლების განმავლობაში ეროვნული ბანკი SBFN-ის წევრ ქვეყნებს შორის მდგრადი დაფინანსების მიმართულებით დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებაში აქტიურად მონაწილეობდა. 2021 წლის

ნოემბერში, ეროვნული ბანკი SBFN-ის შეფასების 6-საფეხურიან სისტემაში, რომელიც SBFN-ის წევრი ქვეყნების მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით მიღწეულ პროგრესს ასახავს, დაწინაურდა და მოწინავე საფეხურზე გადაინაცვლა. ეს დაწინაურება ეროვნული ბანკის მიერ მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების შედეგია.

2022-2023 წლებში გატარებული ღონისძიებებისა და რეგულაციების მიმოხილვა

საქართველოს ეროვნული ბანკი მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარებას და გზამკვლევში წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის შესრულებას აქტიურად განაგრძობს. 2022-2023[1] წლებში განხორციელებული აქტივობები და სხვა მიმდინარე პროექტები შემდეგია:

- ✓ დაფინანსებული ემისიების ინსტრუმენტის შემუშავება - ეროვნულმა ბანკმა, ფონდ შპარკასე საქართველოსთან (DSIK) თანამშრომლობით, საქართველოს საფინანსო სექტორისთვის დაფინანსებული ემისიების გამოთვლისა და ანგარიშგების მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი შეიმუშავა, რომელიც 2023 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა. ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლებისთვის ასევე ჩატარდა სემინარი დაფინანსებული ემისიების გამოთვლის მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტის გამოყენების შესახებ. დაფინანსებული ემისიების ინსტრუმენტი კომერციული ბანკების მხრიდან დაკრედიტების პროცესში დაფინანსებული ემისიების გამოთვლას ემსახურება და მისი მუშაობის პრინციპი საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებზე, კერძოდ PCAF-ის (The Partnership for Carbon Accounting Financials) მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიაზეა დაფუძნებული. აღნიშნული მეთოდოლოგია სხვადასხვა კლასის აქტივებისთვის გამოიყენება, მათ შორის ნებისმიერი ბანკებისთვის ისეთი მნიშვნელოვანი აქტივისთვის როგორიცაა ბიზნეს სესხების პორტფელი. კომპანიებისთვის ბანკის მხრიდან სესხის სახით მიწოდებული კაპიტალი გამოიყენება როგორც ბიზნეს პროცესების, ასევე კომპანიის მიერ წარმოქმნილი სათბურის აირების ემისიის დასაფინანსებლად. "დაფინანსებული ემისიების" ინსტრუმენტი ფინანსურ ინსტიტუტს საშუალებას აძლევს გაანალიზოს მისი საკრედიტო პორტფელი, განსაზღვროს მასში შემავალი "დაფინანსებული ემისიების" წილი და აღმოაჩინოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები, რაც მას გარემოსდაცვითი მენეჯმენტის მიმართულებით ბიზნეს პროცესების სრულყოფისა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება.

[1] 2020-2021 და 2021-2022 წლებში განხორციელებული აქტივობების აღწერა იხილეთ 2021 წლის მდგრადი დაფინანსების ანგარიშში და 2022 წლის მდგრადი დაფინანსების ანგარიშში.

- ✓ ბიომრავალფეროვნების კარგვასთან დაკავშირებული ფინანსური რისკების შესახებ ნაშრომის გამოქვეყნება - 2023 წლის აგვისტოში ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნა კვლევითი ნაშრომი სახელწოდებით "ბიომრავალფეროვნების კარგვასთან დაკავშირებული ფინანსური რისკების შეფასება საქართველოს ფინანსური სექტორის მაგალითზე". კვლევითი ნაშრომი მიზნად ისახავს ბიომრავალფეროვნების კარგვასა და ფინანსურ სტაბილურობას შორის კავშირების ანალიზს. ნაშრომში განხილულია ბიომრავალფეროვნების კარგვასთან დაკავშირებული ფინანსური რისკები და წარმოდგენილია ეკოსისტემურ სერვისებზე ფინანსური სისტემის დამოკიდებულებისა და ზემოქმედების რაოდენობრივი შეფასება საქართველოს მაგალითზე. კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით, შეფასებულია საბანკო სექტორის დამოკიდებულება ეკონომიკური სექტორებზე, რომელიც კომერციული ბანკების მიერ იურიდიულ პირებზე გაცემული საკრედიტო პორტფელის მონაცემების საფუძველზეა არჩეული. ეკონომიკური სექტორების კლასიფიცირება ეკონომიკური აქტივობების ორნიშნა ნომენკლატურის მიხედვით (NACE REV 2) მოხდა, ხოლო შემდგომ თითოეულ საქმიანობას ეკოსისტემებზე დამოკიდებულების რისკის მატერიალურობის რეიტინგი ENCORE-ის (Exploring Natural Capital Opportunities, Risks and Exposure) შეფასების ჩარჩოს მიხედვით მიენიჭა. ძირითადი მიგნებების მიხედვით, საქართველოში კომერციული ბანკების იურიდიულ პირებზე გაცემული საკრედიტო პორტფელის დაახლოებით 46 პროცენტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ერთ ან მეტ ეკოსისტემურ სერვისზე, რაც შესაძლოა ფიზიკური რისკის ფორმით გამოვლინდეს. გარდა ამისა, კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის დაახლოებით 54 პროცენტი დამოკიდებულია ისეთ ეკონომიკურ სექტორებზე, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ერთ ან მეტ ეკოსისტემურ სერვისზე, რაც შესაძლოა გარდამავალი რისკის ფორმით გამოვლინდეს.
- ✓ ESG საკითხების სახელმძღვანელოს შემუშავება - მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს ფარგლებში, რომელიც მდგრადი დაფინანსების გზამკვლევში არის წარმოდგენილი, ეროვნულმა ბანკმა ESG საკითხების სახელმძღვანელოს (ESG Guidelines) შემუშავება დაიწყო. ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკებისთვის უკვე დაწესებული აქვს ESG საკითხებთან დაკავშირებული მოთხოვნები "კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსით". ESG საკითხების სახელმძღვანელო კომერციული ბანკებისთვის განსაზღვრავს იმ პრინციპებსა და სტანდარტებს, რომლებიც ბანკებმა უნდა დაიცვან, რათა (i) მოახდინონ ESG საკითხებთან დაკავშირებული რისკების სათანადო შეფასება და მართვა, (ii) ხელი შეუწყონ პასუხისმგებლიანი საბანკო სექტორის განვითარებას მდგრადი ფინანსური პროდუქტების შემუშავებით, და (iii) უზრუნველყონ მარეგულირებელ პოლიტიკასთან შესაბამისობა ESG საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ანგარიშგების გამჭვირვალობის გაზრდის გზით. ამ რისკებისა და შესაძლებლობების აღიარებითა და ანალიზით, საქართველოს ფინანსურ

ინსტიტუტებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ მწვანე და ინკლუზიური ზრდის დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში და ასევე, უზრუნველყონ საკუთარი გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობა და რეპუტაცია. ESG საკითხების სახელმძღვანელო საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებს ეფუძნება და ასევე ითვალისწინებს პრაქტიკებს, რომლებსაც ამჟამად ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები იყენებენ. ESG საკითხების სახელმძღვანელოს გამოქვეყნება წლის ბოლომდე არის დაგეგმილი.

- ✓ კლიმატთან დაკავშირებული სცენარების ანალიზის ჩატარება საქართველოს ფინანსური სექტორისთვის - ეროვნულმა ბანკმა ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) ფინანსური მხარდაჭერით და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით კლიმატის სცენარების ანალიზის ჩარჩოს შემუშავება დაიწყო. საქართველოსთვის კლიმატის სცენარების განსავითარებლად ეროვნული ბანკი NGFS-ის კლიმატის სცენარებს დაეყრდნობა. აღნიშნული ჩარჩო სხვადასხვა სცენარის პირობებში კომერციული ბანკების მოწყვლადობის ანალიზსაც მოიცავს. ბანკების მოწყვლადობის ანალიზის შედეგები კლიმატის სტრეს-ტესტში იქნება გამოყენებული, რომელიც მომავალი წლისთვის იგეგმება.
- ✓ GSS+ ობლიგაციების ჩარჩოს შემუშავება - მდგრადი დაფინანსების გზამკვლევის სამოქმედო გეგმის განხორციელების ფარგლებში, დანერგვის არის წარმოდგენილი, ეროვნული ბანკი მწვანე/სოციალური/მდგრადი/მდგრადობასთან დაკავშირებული (GSS+) ობლიგაციების რეგულაციაზე მუშაობს. ჩარჩო და შესაბამისი რეგულაცია GSS+ ობლიგაციების სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და გაუქმების პირობებს და ასევე, ანგარიშგების მოთხოვნებს განსაზღვრავს. ჩარჩოს მიღება მომავალი წლის დასაწყისში იგეგმება.
- ✓ მდგრადი დაფინანსების განყოფილების შექმნა - 2022 წლის ნოემბერში ეროვნულმა ბანკმა ფინანსური სტაბილურობის დეპარტამენტში მდგრადი დაფინანსების განყოფილება შექმნა. სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეულის შექმნა ეროვნული ბანკის მზაობას საქართველოში მდგრადი დაფინანსების განვითარების და ხელშეწყობის მიმართულებით კიდევ უფრო აძლიერებს. განყოფილების მთავარ მოვალეობას ეროვნული ბანკის მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს შემუშავება და მისი განხორციელება წარმოადგენს. ეს ნაბიჯი თანხვედრაშია გლობალურ ტენდენციებთან და ასევე, ფინანსურის სექტორის მდგრად დაფინანსებაზე გადასვლის ფართო მიზნებს უწყობს ხელს.
- ✓ ცნობიერების ამაღლების აქტივობები – ეროვნული ბანკი, მწვანე ზრდის ფონდთან (GGF) და Finance in Motion-თან თანამშრომლობით, მოკლემეტრაჟიანი საინფორმაციო ვიდეოების სერიის შექმნაზე მუშაობს. აღნიშნული ინიციატივა მდგრადი დაფინანსების, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისა და მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. გარდა ამისა, მდგრადი დაფინანსების განყოფილების უფროსმა ეროვნული ბანკის საჯარო ლექციების ციკლში -

ფინანსური და ეკონომიკური განათლება უკეთესი მომავლისთვის მიიღო მონაწილეობა. საჯარო ლექციები, რომლებიც სხვადასხვა უნივერსიტეტში გაიმართა, ორი კრიტიკული საკითხის განხილვას დაეთმო: 1) კლიმატის ცვლილება და ფინანსური სექტორი და 2) ეროვნული ბანკის მდგრადი დაფინანსების ჩარჩო. ლექციები მდგრადი დაფინანსების და ამ მიმართულებით ეროვნული ბანკის მუშაობის შესახებ სტუდენტების ინფორმირებას ისახავდა მიზნად.

- ✓ მდგრადი დაფინანსების ფორუმის ჩატარება – 2022 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მდგრადი დაფინანსების რიგით მეოთხე ფორუმს უმასპინძლა. ღონისძიება IFC-ისა და SBFN-თან თანამშრომლობით და შვეიცარიის ეკონომიკურ საკითხთა სახელმწიფო სამდივნოს (SECO) მხარდაჭერით გაიმართა. ფორუმი ჰიბრიდულ რეჟიმში ჩატარდა და მონაწილეებს საშუალება მიეცათ ღონისძიებას როგორც ვირტუალურად, ასევე ფიზიკურად დასწრებოდნენ. ფორუმს 300-მდე მონაწილე დაესწრო 55 ქვეყნიდან, მათ შორის ევროკავშირისა და SBFN-ის წევრი ქვეყნებისა და ცენტრალური ბანკების მაღალი რანგის წარმომადგენლები, ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები, უნივერსიტეტები და სხვა დაინტერესებული მხარეები. აღნიშნული ფორუმი, ეროვნული ბანკისა და IFC/SBFN-თან პარტნიორობით, საქართველოში მეოთხედ გაიმართა. პირველი კონფერენცია 2018 წელს ჩატარდა და მან ყოველწლიური ხასიათი მიიღო. მდგრადი დაფინანსების ფორუმი ერთგვარ პლატფორმად ჩამოყალიბდა, სადაც სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს საშუალება ეძლევათ საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მდგრადი დაფინანსების განვითარების საკითხები მიმოიხილონ. ფორუმი მომავალშიც გააგრძელებს უახლესი გლობალური ტენდენციებისა და SBFN-ის წევრი 62 ქვეყნის გამოცდილების გაზიარებას. მდგრადი დაფინანსების მორიგი ფორუმი 2024 წლის მარტში თბილისში გაიმართება და ძირითად საქართველოსა და რეგიონში არსებულ მდგრად დაფინანსებასთან დაკავშირებულ სიახლეებს დაეთმობა.
- ✓ მწვანე დაფინანსების კონფერენციის ორგანიზება- 2023 წლის თებერვალში, ეროვნული ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) ორგანიზებით კონფერენცია "მწვანე დაფინანსება მდგრადი განვითარებისთვის" გაიმართა. ღონისძიება მიზნად ისახავდა ქვეყნის მდგრად განვითარებასა და დაბალი ემისიის ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში მწვანე დაფინანსების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ასევე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის და შესაბამისი რეგულაციის მოსალოდნელი ეფექტების განხილვას. ღონისძიების მონაწილეებმა ვრცლად ისაუბრეს იმ ძირითადი რისკების, გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში შეიძლება კერძო სექტორსა და საბანკო სისტემაში წარმოიშვას.

II. საქართველოს მდგრადი დაფინანსების ბაზრის მიმოხილვა

საქართველოს ფინანსური სექტორი ძირითადად კომერციული ბანკებისგან შედგება (იხ. დიაგრამა 2). ამჟამად, ბაზარზე თხუთმეტი კომერციული ბანკია, რომლებიც ფინანსური სექტორის მთლიანი აქტივების თითქმის 91% პროცენტს ფლობენ. გარდა ამისა, მაღალია კონცენტრაციის დონე - კერძოდ, ორი ყველაზე დიდი ბანკი მთლიანი საბანკო აქტივების დაახლოებით 77 პროცენტის, ხოლო ფინანსური სექტორის აქტივების 70 პროცენტის მფლობელია. საპენსიო ფონდების წილი მზარდია და 2022 წლის ბოლოსთვის დაახლოებით 4 პროცენტს შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წილი საკმაოდ მცირეა, ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესების დაფინანსებასა და სოფლად ფინანსების ხელმისაწვდომობაში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში იზრდება სადაზღვევო ბაზარიც, მისი წილი ფინანსური სექტორის მთლიან აქტივებში ჯერ კიდევ შედარებით მცირეა.

საქართველოს ფინანსური სისტემის ამ მახასიათებლების გათვალისწინებით, ეროვნული ბანკის მდგრადი დაფინანსების პოლიტიკა და რეგულაციები, ამჟამად, ძირითადად კომერციული ბანკებისკენაა მიმართული. თუმცა, ეროვნული ბანკი ასევე აცნობიერებს კაპიტალის ბაზრის მნიშვნელობას მდგრადი ფინანსური რესურსების ზრდაში, და მდგრადი დაფინანსების სამოქმედო გეგმა კაპიტალის ბაზრის მონაწილეებისთვის განკუთვნილ ღონისძიებებსაც მოიცავს.

დიაგრამა 2. საქართველოს ფინანსური სექტორის სტრუქტურა აქტივების მიხედვით, დეკ. 2022



წყარო: ეროვნული ბანკი

ESG საკითხების ჭრილში კომერციული ბანკების მდგომარეობა - ESG ანგარიშგების შედეგები

კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსი ESG საკითხების გამჟღავნების სავალდებულო მოთხოვნას აწესებს. ამასთან, "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესი" ESG საკითხების ანგარიშგების ფორმას პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების ნაწილად, ხოლო ეროვნული ბანკის ESG საკითხების ანგარიშგებისა და გამჟღავნების პრინციპებს სახელმძღვანელოდ განსაზღვრავს.

2023 წელს კომერციულმა ბანკებმა ESG ფორმები უკვე მესამედ შეავსეს. 2021, 2022 და 2023 წლების შევსებული ფორმები ეროვნული ბანკის ვებგვერდზეა ხელმისაწვდომი. ანგარიშის ეს ნაწილი ამ ფორმებში წარმოდგენილ ინფორმაციას მიმოიხილავს და ESG მიმართულებით საქართველოს ფინანსური სექტორის შესრულების ძირითად ინდიკატორებს[2] (Key Performance Indicators, KPIs) აანალიზებს. გამჟღავნებული ინფორმაცია მოიცავს ხარისხობრივ ინფორმაციას ბიზნეს მოდელის, პოლიტიკისა და სათანადო შეფასების (due diligence) და რისკების მართვის შესახებ, და ასევე რაოდენობრივ ინფორმაციას ESG-თან დაკავშირებულ სხვადასხვა KPI-ების შესახებ.

ცამეტი კომერციული ბანკისგან მიღებული ESG-თან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზი აჩვენებს, რომ ბანკებში არსებული ESG პრაქტიკა განსხვავდება. კომერციული ბანკების მცირე ნაწილი საკმაოდ წინ არის მდგრადი დაფინანსებისა და ESG რისკების მართვის მიმართულებით და მათ ასევე გააჩნიათ სხვა სოციალური და გარემოსდაცვითი პოლიტიკა. მეორე მხრივ, არის ბანკები, რომელთაც ჯერ-ჯერობით არ დაუნერგავთ ESG პოლიტიკა. თუმცა, ზოგიერთი მათგანი ESG პოლიტიკის შემუშავების პროცესშია ან გეგმავს მის უახლოეს მომავალში დანერგვას. სამივე, E, S და G, მიმართულებით დეტალური შედეგები ქვემოთ არის წარმოდგენილი.

E - გარემოსდაცვითი

2023 წელს, წლიურ ESG ფორმებში, კომერციულმა ბანკებმა მწვანე სესხების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას კვლავ საკუთარ განმარტებები გამოიყენეს. 2022 წელს 13 კომერციული ბანკიდან შვიდმა წარმოადგინა ინფორმაცია მწვანე სესხების შესახებ.

2022 წელს აღრიცხული მწვანე სესხების მოცულობამ ₾486 მილიონი შეადგინა ($180 მილიონი[3]). გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, ეს 2021 წელს გაცემული მწვანე სესხების მოცულობასთან შედარებით 16% ზრდაა. 2022 წელს გაცემული მწვანე სესხების უმეტესი ნაწილი კვლავ დოლარშია დენომინირებული (იხ. დიაგრამა 3).

[2] თითოეული კომერციული ბანკის შესახებ დეტალური ინფორმაციისთის იხილეთ: https://nbg.gov.ge/financial-stability/esg-reporting-and-disclosure

[3] მონაცემი დათვლილია 2022 წლის დეკემბრის ბოლოს Gel/USD და Gel/EUR გაცვლითი კურსის გამოყენებით.

მწვანე სესხების წილი 2022 წელს გაცემულ მთლიან სესხებში 1.2 პროცენტს შეადგენს, რაც წინა წლის მონაცემს 0.2 პროცენტული პუნქტით აღემატება. იმ ბანკებისთვის, რომლებმაც მწვანე სესხების შესახებ ინფორმაცია გაამჟღავნეს, 2022 წელს გაცემულ მთლიან სესხებში მწვანე სესხების წილი საშუალოდ 7 პროცენტს შეადგენდა.

დიაგრამა 3. 2022 წელს გაცემული სესხების ჩაშლა ვალუტების მიხედვით



წყარო: ეროვნული ბანკი

რაც შეეხება 2022 წლის ბოლოსთვის არსებული მწვანე სესხების მთლიან მოცულობას, ის ₾1.4 მილიარდს ($530 მილიონი) შეადგენდა (იხ. დიაგრამა 4). 2022 წელს წინა წელთან შედარებით მწვანე სესხების მთლიანი მოცულობა გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 15%-ით გაიზარდა. წინა წელთან შედარებით გაიზარდა დოლარში გაცემული სესხების წილი და მან 65 პროცენტი შეადგინა. 2022 წლის ბოლოსთვის მწვანე სესხები მთლიანი პორტფელის 3.2%-ია. ეს მაჩვენებელი 2021 წელს 2.9%, ხოლო 2020 წელს კი 2.2%-ს შეადგენდა. ბანკების დონეზე, მწვანე სესხების წილი მთლიან პორტფელში საშუალოდ 6% იყო, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი დაახლოებით 17 პროცენტს აღწევდა.

უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი განმარტების არქონის გამო ბანკების უმრავლესობამ მწვანე სესხებზე ინფორმაცია ვერ წარმოადგინა; აქედან გამომდინარე, აღნიშნული რიცხვები რეალობას სრულად ვერ ასახავს. გარდა ამისა, იმ კომერციული ბანკების უმრავლესობამ, რომლებმაც მწვანე სესხებზე მონაცემები წარმოადგინეს, ამ კატეგორიაში მხოლოდ ენერგო ეფექტურობასთან და განახლებად ენერგიასთან დაკავშირებული პროექტების დასაფინანსებლად გაცემული სესხები შეიყვანეს. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საერთო კლასიფიკაციისა და მწვანე ტაქსონომიის არსებობის მნიშვნელობას. იქიდან გამომდინარე, რომ ეროვნულმა ბანკმა უკვე დაამტკიცა მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია და შესაბამისი რეგულაცია, მოსალოდნელია რომ 2024 წლიდან მწვანე სესხების მოცულობა შეიცვლება და მონაცემები უფრო ზუსტი და შესადარისი გახდება.

დიაგრამა 4. მწვანე სესხების მთლიანი მოცულობა (ნაშთი), დეკ. 2022 (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: ეროვნული ბანკი

რაც შეეხება ბანკების მონაწილეობას, საქართველოში მწვანე დაკრედიტების ხელშეწყობაში სამი ფინანსური ინსტიტუტი ლიდერობს. თიბისი ბანკს მთლიანი მწვანე პორტფელის ყველაზე დიდი წილი უჭირავს და ბაზრის მნიშვნელოვან, 45 პროცენტს ფლობს.

საქართველოს ბანკი 35 პროცენტიანი წილით მეორე ადგილს იკავებს, ხოლო მესამეზე პროკრედიტ ბანკია 13 პროცენტით (იხ. დიაგრამა 5). 2022 წლის განმავლობაში გაცემული მწვანე სესხების მიხედვით, თიბისი ბანკი ბაზარზე ლიდერობას ინარჩუნებს. თიბისი ბანკმა 2022 წელს მწვანე სესხის 55 პროცენტი გასცა, ხოლო საქართველოს ბანკმა და პროკრედიტ ბანკმა შესაბამისად 19 და 18 პროცენტი.

დიაგრამა 5. მწვანე სესხების მთლიანი მოცულობა (ნაშთი) ბანკების მიხედვით, დეკ.2022 (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: ეროვნული ბანკი

2022 წლის ბოლოსთვის არსებული მონაცემების მიხედვით, მწვანე, სოციალური ან მდგრადი ობლიგაცია არცერთ კომერციულ ბანკს არ აქვს გამოშვებული.

რაც შეეხება გარემოზე დადებითი ეფექტის მქონე აქტივობებს, ბანკების უმრავლესობას გარკვეული ღონისძიებები აქვს გატარებული, რაც ძირითადად შიდა წვის ძრავიანი ავტომობილების ჰიბრიდული და ელექტრო მანქანებით ჩანაცვლებას და ოფისებსა და შენობებში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას მოიცავს. გარდა ამისა, კომერციული ბანკების უმრავლესობას ნარჩენების მართვის პოლიტიკა აქვს დანერგილი, რაც ძირითადად ნარჩენების გადამუშავებას, შემცირებასა და დახარისხებას გულისხმობს. ცამეტი ბანკიდან მხოლოდ ხუთმა ბანკმა წარმოადგინა ინფორმაცია სათბური გაზების ემისიების შესახებ (შარშან ეს ინფორმაცია მხოლოდ სამმა ბანკმა წარადგინა) და მხოლოდ ერთ ბანკს აქვს ამ მიმართულებით კონკრეტული სამიზნე მაჩვენებელი განსაზღვრული.

ჩანართი. მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია და მისი დანერგვა

ეროვნულმა ბანკმა, სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია შეიმუშავა. ტაქსონომია 2022 წლის ივლისში გამოქვეყნდა და მდგრადი დაფინანსების ფართო ცნებას ეფუძნება. იგი წარმოადგენს კლასიფიკაციის სისტემას ისეთი აქტივობების გამოსავლენად, რომლებიც მწვანე, სოციალურ ან მდგრად მიზნებს ემსახურება. ტაქსონომია ორი ნაწილისგან, მწვანე და სოციალური ტაქსონომიისგან შედგება. მწვანე ტაქსონომია წარმოადგენს ისეთი აქტივობების ჩამონათვალს, რომლებიც გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევას და მწვანე ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს. ხოლო სოციალური ტაქსონომია კი ისეთი აქტივობების ჩამონათვალია, რომლებიც მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი მიზნობრივი ჯგუფებისთვის, სოციალური მიზნების მიღწევაზეა ორიენტირებული. გარდა ამისა, ტაქსონომიის ფარგლებში, ისეთი მწვანე/სოციალური აქტივობები, რომლებსაც სოციალური/მწვანე თანასარგებელი აქვთ, მდგრად საქმიანობად განიხილება. მდგრადი ტაქსონომია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობითაა შემუშავებული, თუმცა იგი ასევე ითვალისწინებს საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსური სექტორის მახასიათებლებს. ტაქსონომიის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს მდგრადი დაფინანსების ბაზრის განვითარებას და წვლილი შეიტანოს ქვეყნის მდგრად განვითარებაში.

მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიასთან ერთად ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკებისთვის მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების რეგულაცია (ტაქსონომიის რეგულაცია) დაამტკიცა, რომელიც ძალაში 2023 წლის ინავარში შევიდა. ტაქსონომიის რეგულაცია ოფიციალურად განმარტავს მწვანე, სოციალურ და მდგრად სესხებს და კომერციულ ბანკებს ტაქსონომიასთან შესაბამისი სესხების ანგარიშგების მოთხოვნებს უწესებს. რეგულაციის მიხედვით, კომერციულმა ბანკმა სესხს მწვანე, სოციალური ან/და მდგრადი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება უწოდოს, თუ ის მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიაში განსაზღვრულ ტექნიკურ კრიტერიუმს აკმაყოფილებს. გარდა ამისა, ბანკები ვალდებულები არიან მწვანე სესხების ყოველთვიური ანგარიშგება ტაქსონომიის რეგულაციით განსაზღვრული მწვანე სესხის თვიური ანგარიშგების ფორმით მოახდინონ. გარდა ამისა, პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების ESG ანგარიშგებისა და გამჟღავნების ფორმაში, მწვანე/სოციალურ/მდგრად სესხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება ტაქსონომიის რეგულაციასთან შესაბამისად უნდა მოხდეს. ყოველივე ეს საქართველოში მწვანე სესხების შესადარისი და თანმიმდევრული მონაცემების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს და მდგრადი დაფინანსების ბაზრის განვითარებას შეუწყობს ხელს.

დიაგრამა B1. ტაქსონომიის შესაბამისი მწვანე სესხების მთლიანი მოცულობა (ნაშთი), სექტემბერი 2023 (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: ეროვნული ბანკი

ტაქსონომიის რეგულაციის შემოღების შემდეგ მდგრადი ფინანსების ტაქსონომიის დანერგვა ხუთმა ბანკმა დაიწყო. 2023 წლის სექტემბრის მდგომარეობით, ტაქსონომიის შესაბამისი მწვანე სესხების პორტფელმა დაახლოებით 412 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი საკრედიტო პორტფელის ერთ პროცენტზე ნაკლებს წარმოადგენს. ეს შედარებით დაბალი წილი ნაწილობრივ ბანკების მიერ ტაქსონომიის დანერგვის მიმდინარე პროცესს უკავშირდება და იმ ფაქტს, რომ ყველა ბანკს ეს პროცესი ჯერ არ დაუწყია. სექტორული განაწილების კუთხით, მთლიანი სესხების 63 პროცენტი მიმართულია განახლებადი ენერგიის სექტორისკენ არის მიმართული, ხოლო 57 პროცენტი ჰიდროენერგეტიკულ პროექტებს ეთმობა. გარდა ამისა, მწვანე სესხების 17 პროცენტი მწვანე ტრანსპორტის სექტორშია გაცემული (იხ. დიაგრამა B1).

S - სოციალური

შესრულების ძირითადი ინდიკატორების სოციალური ნაწილი მოიცავს სამუშაო ადგილზე მრავალფეროვნებასთან, ტრენინგებსა და განათლებასთან, მომხმარებელთა კონფიდენციალურობასა და კმაყოფილებასთან, სამუშაო ადგილის უსაფრთხოებასა და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებულ კითხვებს.

2022 წლის ბოლოსთვის საქართველოს საბანკო სექტორში დაახლოებით 25 ათასი ადამიანი იყო დასაქმებული (იხ. დიაგრამა 6). წინა წელთან შედარებით საბანკო სექტორში დასაქმება 8%-ით გაიზარდა. 2022 წელს თანამშრომელთა დენადობის საშუალო მაჩვენებელი[5] 21%-ს შეადგენდა, რაც 2021 წლის მაჩვენებელს 4 პროცენტული პუნქტით აღემატება. დენადობის მაჩვენებელი საკმაოდ განსხვავდება ბანკების მიხედვით და ზოგან მხოლოდ 10%-ს, ხოლო ზოგ ბანკში კი 29-32%-ს აღწევს.

დიაგრამა 6. გენდერული მრავალფეროვნება საქართველოს საბანკო სექტორში, დეკ. 2022



წყარო: ეროვნული ბანკი

რაც შეეხება გენდერულ მრავალფეროვნებას, 2022 წლის ბოლოსთვის დასაქმებულთა 69%-ს ქალები წარმოადგენდნენ, რაც წინა წელთან შედარებით 1 პროცენტული პუნქტით მაღალია. ბანკების მიხედვით ეს მაჩვენებელი მსგავსია. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 52%-ს, ხოლო ყველაზე მაღალი კი 74%-ს შეადგენდა. თუმცა, მაღალ მენეჯმენტში (დირექტორთა საბჭო, სამეთვალყურეო საბჭო) ქალების წილი გაცილებით ნაკლებია და საშუალოდ 26%-ს შეადგენდა. მიუხედავად ბანკებში განხორციელებული ცვლილებებისა, წინა წელთან შედარებით საშუალოდ, სიტუაცია არ შეცვლილა. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში, ბანკების მიხედვით განსხვავებები უფრო თვალსაჩინოა; ზოგ ბანკში ქალების წილი 10-11%-ია, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში კი - 66%. რაც შეეხება გენდერულ განაწილებას საშუალო მენეჯმენტში, 2022 წლის ბოლოსთვის ქალების წილი საშუალოდ 47% იყო. ეს მაჩვენებელი ბანკებს შორის

2022 წლის მონაცემებით, საქართველოს საბანკო სექტორში ყველაზე დიდი წილი 20-30 და 30-40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებს უკავიათ, 42.5% და 39.3%-ით შესაბამისად (იხ. დიაგრამა 7). ასაკობრივი განაწილება ბანკებს შორის მსგავსია და წინა წელთან შედარებით თითქმის არ შეცვლილა. რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დასაქმებას, წინა წლის მსგავსად, მხოლოდ ორ ბანკს აქვს ამ მიმართულებით დადებითი მაჩვენებელი და მათი წილი მთლიან დასაქმებაში 1 პროცენტზე ნაკლებს შეადგენს. თუმცა, ცხრა ბანკს გააჩნია ნაწილობრივ ან სრულად ადაპტირებული რამდენიმე ფილიალი და

[5] წლიური დენადობის მაჩვენებელი = 100*(სამსახურიდან წასულ თანამშრომელთა რაოდენობა)/((წლის დასაწყისში თანამშრომელთა რაოდენობა + წლის ბოლოს თანამშრომელთა რაოდენობა)/2)

სპეციალური ინფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მომხმარებლებისთვის. ამ კუთხით წინა წელთან შედარებით გაუმჯობესება ფაქტიურად არ მომხდარა.

2022 წლის განმავლობაში თანამშრომ-ლებისათვის ტრენინგი ყველა კომერციულმა ბანკმა ჩაატარა, თუმცა ტრენინგების მასშტაბი განსხვავდებოდა. არის რამდენიმე ბანკი, რომელშიც ტრენინგებს თანამშრომელთა მხოლოდ 25% ან ნაკლები დაესწრო. უმეტესობა ბანკში კი ტრენინგი თანამშრომელთა 70%-ზე მეტმა, ხოლო რამდენიმე ბანკში კი თითქმის ყველა თანამშრომელმა გაიარა. თანამშრომლის ტრენინგზე საშუალოდ გაწეული ხარჯები ბანკებს შორის საკმაოდ განსხვავდებოდა. ხარჯებს გარკვეულ-წილად განსაზღვრავს ტრენინგის ტიპი. ზოგმა ბანკმა ძირითადად შიდა ტრენინგები ჩაატარა, რაც შედარებით ნაკლებად ხარჯიანია; ხოლო ბანკების ნაწილმა შიდა ტრენინგებთან ერთად, გარე ტრენინგებიც ჩაუტარა თანამშრომლებს.

დიაგრამა 7. დასაქმებულთა ასაკობრივი განაწილება საქართველოს საბანკო სექტორში, დეკ. 2022



წყარო: ეროვნული ბანკი

რაც შეეხება ჯანსაღ და უსაფრთხო სამუშაო გარემოს, ყველა ბანკმა მიუთითა, რომ მათ დანერგილი აქვთ შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები. ეს პოლიტიკა მოიცავს, მათ შორის, შრომის უსაფრთხოების მართვის გეგმას, შრომის უსაფრთხოების პოლიტიკასა და საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმას. გარდა ამისა, თანამშრომლებს რეგულარულად უტარდებათ ტრენინგები საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების, პირველადი დახმარებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებების, და უსაფრთხოების სხვა საკითხების შესახებ.

G – მმართველობითი

ESG ანგარიშგების ფორმებში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 13-დან 8 ბანკს სპეციალურად განკუთვნილი ორგანო ან თანამშრომელი ჰყავს, რომელიც გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკისა და მისი განხორციელების ზედამხედველობაზეა პასუხისმგებელი. გარდა ამისა, თითქმის ყველა ბანკს დანერგილი აქვს ESG პოლიტიკა და პროცედურები, რაც ხშირ შემთხვევაში ESG რისკების მართვასთან არის დაკავშირებული. თუმცა აღსანიშნავია, რომ ზოგ ბანკს ESG საკითხები სტრატეგიის დონეზეც აქვს გათვალისწინებული. ამასთან, შედეგები გვიჩვენებს, რომ თუ ბანკს ESG პოლიტიკა გააჩნია, მაშინ მას სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორთა საბჭო ამტკიცებს.

ასევე, ზოგ ბანკს დაინტერესებულ მხარეებსა და სამეთვალყურეო ან დირექტორთა საბჭოს შორის გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე კონსულტაციების პროცესი აქვთ დანერგილი.

ESG რისკების მართვის პოლიტიკის გარდა, ბანკების უმრავლესობას ასევე აქვს ეთიკის, ბიზნესის უწყვეტობის, ქრთამის აღების საწინააღმდეგო და სხვა პოლიტიკა (იხ. დიაგრამა **8**).

დიაგრამა 8. შესაბამისი პოლიტიკის მქონე კომერციული ბანკების რაოდენობა, დეკ. 2021



წყარო: ეროვნული ბანკი

მდგრადი დაფინანსების კუთხით ობლიგაციების ბაზრის მიმოხილვა

საქართველოში კაპიტალის ბაზარი, მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, განვითარების ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა. თუმცა, ადგილობრივი ობლიგაციების ბაზარი ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და ეს ტენდენცია 2022-2023 წლებშიც გაგრძელდა (იხ. დიაგრამა **9**). რიგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი რეფორმების განვითარება, მათ შორის „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონი“ და „სეკიურიტიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, შეინარჩუნებს ამ დინამიკას და დამატებით ხელს შეუწყობს კაპიტალის ბაზრის განვითარებას.

წინა წლების მსგავსად, 2022 წელს ობლიგაციების ბაზარზე ზრდადი ტენდენცია დაფიქსირდა. წინა წელთან შედარებით, ბაზრის ეს სეგმენტი მნიშვნელოვნად, 39.4 პროცენტით, გაიზარდა. ამასთან, გაიზარდა ადგილობრივ ვალუტაში გამოშვებული ობლიგაციების წილი. გამოშვებული ობლიგაციების 71.3 პროცენტი კი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ლარით დენომინირებული ობლიგაციები იყო.

დიაგრამა 9. ადგილობრივ ბაზარზე საჯარო შეთავაზებით გამოშვებული კორპორაციული ობლიგაციები (ნაშთი)

წყარო: ეროვნული ბანკი

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ობლიგაციების ბაზარი 49.3 პროცენტით, ხოლო კორპორაციული ობლიგაციების სეგმენტი 19.7 პროცენტით გაიზარდა. 2022 წელს ადგილობრივ ბაზარზე 7 საჯარო კორპორაციული

ობლიგაციისა (2021 წელს 3 ობლიგაციის) და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების 7 კერძო ობლიგაციის ემისია განხორციელდა (2021წელს 6 ობლიგაციის).

2022 წელს კორპორაციული ობლიგაციების ბაზარი ინდუსტრიების მიხედვით დივერსიფიცირებული იყო და ემიტენტები მოიცვა ცხრა ინდუსტრიიდან. კორპორაციული ობლიგაციების ნაშთების მიხედვით, ბაზრის ყველაზე დიდი წილი - 25 პროცენტი - ელექტროენერგიის წარმოების სექტორმა დაიკავა (2021 წელს 24 პროცენტით საფინანსო სექტორი ლიდერობდა), ხოლო ბაზრის 50 პროცენტს სამშენებლო, უძრავი ქონების მართვისა და საფინანსო სექტორის ემიტენტები წარმოადგენდნენ (იხ. დიაგრამა 10).

დიაგრამა 10. კორპორაციული ობლიგაციების ნაშთების განაწილება სექტორების მიხედვით (2022)



წყარო: ეროვნული ბანკი

ბოლო წლების განმავლობაში ქართულმა კომპანიებმა აქტიურად დაიწყეს მწვანე, სოციალური, მდგრადი და სხვა მსგავსი (GSS+) ობლიგაციების გამოშვება, როგორც უცხოურ, ისე ქართულ საფონდო ბირჟებზე (იხ.

დიაგრამა 11). 2022 და 2023 წლები განსაკუთრებით აქტიური აღმოჩნდა GSS+ ობლიგაციების გამოშვების კუთხით საქართველოში, რადგან ადგილობრივმა კომპანიებმა დაიწყეს ამ ტიპის ობლიგაციების ემისია ადგილობრივ ბაზარზე, ამასთან ძირითადად ეროვნულ ვალუტაში. ადგილობრივი ობლიგაციების ბაზარზე ბოლო ტენდენციების მიხედვით, GSS+ ობლიგაციების მიმართ ქართული კომპანიები ინტერესი მზარდია.

დიაგრამა 11. ქართული კომპანიების მიერ გამოშვებული GSS+ ობლიგაციების მთლიანი მოცულობა, აგვისტო 2023[6]



წყარო: ეროვნული ბანკი

[6] ლარში გამოშვებული ობლიგაციები კონვერტირებულია გამოშვების თარიღის ლარი/დოლარის კურსით.

ქვემოთ მოცემულია ქართული კომპანიების მიერ 2022-2023 წლებში გამოშვებული GSS+ ობლიგაციების მოკლე მიმოხილვა[7]:

- ✓ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალმა“ და „სიმბიოტიკსმა“ სოციალური ობლიგაცია გამოუშვეს - 2022 წლის სექტემბერში, „სიმბიოტიკსმა“ (Symbiotics), რომელიც საინვესტიციო პლატფორმას წარმოადგენს, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“-სთვის 10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სოციალური ობლიგაცია გამოუშვა. ობლიგაციის გამოშვებით მიღებული თანხა ოთხი წლის განმავლობაში სოციალური სესხების სახით ადგილობრივ მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების, მცირე ფერმერებისა და სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების ეროვნულ ვალუტაში დაფინანსებას მოხმარდება. პროდუქტის მიზანია ხელი შეუწყოს მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ზრდას ისეთ სასიცოცხლო მომსახურებებზე, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა და ფინანსური სერვისები.
- ✓ სს “საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციებმა” ქართულ საფონდო ბირჟაზე მწვანე ობლიგაცია განათავსა - 2022 წლის ოქტომბერში, სს “საქართველოს კაპიტალის“ (Georgian Capital, GCAP) შვილობილმა კომპანიამ და განახლებადი ენერგიის აქტივების ერთ-ერთმა წამყვანმა პლატფორმამ საქართველოში “საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციებმა” (GRPO), სს "გალტ & თაგარტისა" და შპს "თიბისი კაპიტალის" დახმარებით, საქართველოს ბაზარზე 80 მილიონი აშშ დოლარის პირველი მწვანე უზრუნველყოფილი ობლიგაცია განათავსა. აშშ დოლარში დენომინირებული ხუთ წლიანი ობლიგაციის ფიქსირებული კუპონი 7.00 პროცენტით განისაზღვრა. GRPO-მ მწვანე ობლიგაციის ჩარჩოსთვის მეორე მხარის მოსაზრება კომპანია Sustainalytics-ისგან მიიღო, და აღნიშნული ჩარჩო სრულ შესაბამისობაშია კაპიტალის ბაზრების საერთაშორისო ასოციაციის (ICMA) მიერ შემუშავებულ მწვანე ობლიგაციების პრინციპებთან (GBP). ობლიგაციის გამოშვებას ნიდერლანდების განვითარების ბანკმა (FMO), აზიის განვითარების ბანკმა (ADB), საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) დაუჭირა მხარი. მიღებული თანხა განახლებადი ენერგიის სექტორთან დაკავშირებული ვალის რეფინანსირებას მოხმარდება.
- ✓ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “კრისტალმა” ქართულ საფონდო ბირჟაზე გენდერული ობლიგაცია განათავსა - 2023 წლის თებერვალში, სს "გალტ & თაგარტის" მხარდაჭერით, კრისტალმა საქართველოს საფონდო ბირჟაზე 25 მილიონი ლარის მოცულობის 2-წლიანი სერტიფიცირებული პირველი გენდერული ობლიგაცია გამოუშვა. ეროვნულ ვალუტაში გამოშვებული ობლიგაციის წამყვანი ინვესტორი 18,75 მლნ ლარის ინვესტიციით ADB-ი იყო და თანაინვესტორი, 6,25 მლნ ლარის ინვესტიციით, საქართველოს ბანკი. კრისტალმა გენდერული ობლიგაციის ჩარჩოსთვის მეორე მხარის მოსაზრება კომპანია Scope

[7] წინა წლებში გამოშვებული GSS+ ობლიგაციების აღწერისთვის, გთხოვთ, იხილოთ მდგრადი დაფინანსების 2021 წლის: https://nbg.gov.ge/en/page/sustainable-finance-in-georgia

Group-ისგან მოიპოვა და აღნიშნული ჩარჩო კაპიტალის ბაზრების საერთაშორისო ასოციაციის (ICMA) მიერ შემუშავებულ სოციალური ობლიგაციების პრინციპებთან სრულ შესაბამისობაშია. ტრანზაქცია მეწარმე ქალებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, მათი მიკრო, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესების დაფინანსებას, საქართველოში ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

- ✓ შპს „ჯეოსთილმა“ საქართველოში პირველი მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციები განათავსა - 2023 წლის აპრილში, სს „გალტ & თაგარტის“ მხარდაჭერით, კომპანია „ჯეოსთილმა“ ობლიგაციის პირველი ემისია - 15 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით წარმატებით განათავსა. აღნიშნული ტრანზაქცია ჯამურად დაგეგმილი 30 მილიონი აშშ დოლარამდე ემისიის პირველი ტრანშია. მეორე ტრანშის ემისია 2023 წლის მეორე ნახევარში იგეგმება. განთავსებული ობლიგაციების წლიური საპროცენტო განაკვეთმა 9.00% შეადგინა. ობლიგაციების ვადა 2 წელია და მათი დაფარვა 2025 წლის 21 აპრილს მოხდება. ემიტენტი გამოშვებული ობლიგაციების საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვებას გეგმავს. კომპანიას ასევე შემუშავებული აქვს მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების ჩარჩო, რომელზეც მეორე მხარის მოსაზრება დამოუკიდებელმა შემფასებელმა, DNV Business Assurance Norway AS-მ გასცა. კომპანია ობლიგაციის პირველი ემისიიდან მიღებულ სახსრებს არსებული სესხების რეფინანსირებისთვის, ასევე კაპიტალური დანახარჯებისა და მდგრადი პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენებს, რაც ფოლადის წარმოების პროცესში ცვლილებების შეტანას და გაზის მოხმარების 75%-მდე შემცირებას ისახავს მიზნად.
- ✓ „თეგეტა ჰოლდინგმა" ქართული კაპიტალის ბაზარზე პირველად ლარის მწვანე ობლიგაცია განათავსა - 2023 წლის ივლისში, საავტომობილო ინდუსტრიის ლიდერმა „თეგეტა ჰოლდინგმა”, შპს „თიბისი კაპიტალის“ მხარდაჭერით, 20 მილიონი ლარის მწვანე ობლიგაცია გამოუშვა. აღნიშნული ტრანზაქცია ეროვნულ ვალუტაში და ასევე, რეგიონის საავტომობილო ინდუსტრიაში პირველი მწვანე ობლიგაციის განთავსებაა. აღნიშნული ობლიგაციის მთავარი ინვესტორი აზიის განვითარების ბანკია. „თეგეტა ჰოლდინგმა“ მწვანე ობლიგაციის ჩარჩოსთვის მეორე მხარის მოსაზრება კომპანია Sustainalytics-ისგან მოიპოვა და აღნიშნული ჩარჩო სრულ შესაბამისობაშია ICMA-ს მიერ შემუშავებულ მწვანე ობლიგაციების პრინციპებთან. ობლიგაციის ემისიის შედეგად მობილიზებული თანხა მთლიანად მწვანე პროექტებს მოხმარდება და დაფინანსდება ნულოვანი ემისიის მქონე, მსუბუქი, საგზაო და არასაგზაო ელექტროტრანსპორტის იმპორტი და ამასთან, საქართველოს დასამუხტი სადგურების ქსელს 70 ახალი სადგური შეემატება.
- ✓ სს „თიბისი ლიზინგმა“, ფინასურ ინსტიტუტებს შორის პირველმა, ლარში დენომინირებული მწვანე საჯარო ობლიგაციები განათავსა - 2023 წლის ივლისში, სს „თიბისი ლიზინგმა“, შპს „თიბისი კაპიტალის“ მხარდაჭერით, საქართველოს კაპიტალის ბაზარზე, ფინანსურ ინსტიტუტებს შორის ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული, 15 მილიონი ლარის პირველი მწვანე საჯარო ობლიგაციები

განათავსა. 3-წლიანი გამოშვებული ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი TIBR3M+2.75%-ით განისაზღვრა. ობლიგაციებში ინვესტიცია, ქართულ კომერციულ ბანკებთან ერთად საპენსიო ფონდმაც განახორციელა. ემისიის ფარგლებში, სს „თიბისი ლიზინგმა“ მწვანე ობლიგაციების ჩარჩოსთან დაკავშირებით მეორე მხარის მოსაზრება საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Scope Group-ისგან მიიღო კომპანიის. მეორე მხარის მოსაზრების თანახმად, სს „თიბისი ლიზინგის“ მწვანე ობლიგაციების ჩარჩო ICMA-ს მწვანე ობლიგაციების პრინციპებთან სრულ შესაბამისობაშია. კომპანია, ობლიგაციის ემისიის შედეგად მობილიზებულ ფინანსურ რესურსს მწვანე სალიზინგო პორტფელის ზრდის დაფინანსებისთვის გამოიყენებს.

- ✓ სს „საქართველოს კაპიტალმა“ ადგილობრივ ბაზარზე მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაცია განათავსა - საქართველოს საინვესტიციო პლატფორმამ სს საქართველოს კაპიტალმა (GCAP) ადგილობრივ ბაზარზე მდგრადობასთან დაკავშირებული, 150 მილიონი აშშ დოლარის 5 წლიანი ობლიგაცია განათავსა. ობლიგაციები დღემდე განხორციელებულ ყველაზე დიდ კორპორატიულ ტრანზაქციას წარმოადგენს რეგიონალურ ბაზარზე. ADB-ის ინვესტიციის მოცულობა 16 მილიონი აშშ დოლარი შეადგენი, ხოლო EBRD-მა 25 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. კომპანიამ მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციის ჩარჩოსთვის მეორე მხარის მოსაზრება Sustainalytics-ისგან მოიპოვა, და აღნიშნული ჩარჩო სრულ შესაბამისობაშია ICMA-ს მიერ შემუშავებულ მდგრადობასთან დაკავშირებულ ობლიგაციების პრინციპებთან. GCAP მიღებულ თანხებს, ძირითადად, თავისი არსებული ევრო ობლიგაციების რეფინანსირების, კაპიტალის მართვის საიმედოობის გაზრდისა და საკუთარი საინვესტიციო შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის გამოიყენებს. კომპანიამ აიღო ვალდებულება, რომ საკუთარ საწარმოებში CO2-ის ემისიას 2027 წლის ბოლომდე 20%-ით შეამცირებს.

1, Zviad Gamsakhurdia Embankment
Tbilisi 0114, Georgia
Tel.: (995 32) 2 406 406
E-mail: SustainableFinance@nbg.gov.ge
www.NBG.gov.ge